



საგადასახადო სიახლოეები

მარტი, 2023



სიტუაციური სახელმძღვანელო

კაპიტალში შეტანილ და გატანილ თანხებს შორის წარმოშობილი სხვაობის დაბეგვრა N 1008

2023 წლის 16 მარტს შემოსავლების სამსახურმა მიიღო სიტუაციური სახელმძღვანელო კაპიტალში უცხოურ ვალუტაში, შეტანილ და გატანილ თანხებს შორის კურსის ცვლილებით წარმოშობილი სხვაობის დაბეგვრის შესახებ.

ფაქტობრივი გარემოებები

- სამეწარმეო საზოგადოების პარტნიორს საწარმოს კაპიტალი წესდებით განსაზღვრული აქვს 10000 აშშ. დოლარის ექვივალენტი ლარში. 2020 წელს საწარმოს პარტნიორმა (ფიზიკურმა პირმა), საწარმოს კაპიტალში განხორციელა შენატანი 10000 აშშ დოლარის. შენატანის განხორციელების დღეს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებულმა დოლარის გაცვლითმა კურსმა ლართან მიმართებაში შეადგინა 2.9.
- საწარმოს ფინანსური აღრიცხვის მიზნებისათვის ფუნქციონალურ ვალუტად განსაზღვრული აქვს ეროვნული ვალუტა-ლარი.
- 2021 წელს საწარმოს პარტნიორმა მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც შეამცირა კაპიტალი და საწარმოდან გაიტანა 10000 აშშ დოლარი. თანხის გატანის დღეს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებულმა დოლარის გაცვლითმა კურსმა ლართან მიმართებაში შეადგინა 3.1. კაპიტალში შეტანილ და გატანილ თანხებს შორის წარმოშობილი სხვაობის თანხაზე საგადასახადო ვალდებულებები არ იქნა შესრულებული.

შეფასება

- სსკ-ის 97-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით რეზიდენტი საწარმოს მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია განაწილებული მოგება; 98¹ -ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად განაწილებულ მოგებად არ ითვლება საწარმოს ლიკვიდაციისას ან აქციის/წილის გამოსყიდვისას ფულადი ან ნატურალური ფორმით განხორციელებული გადახდა/განაცემი, რომელიც კაპიტალში (განთავსებულსა და საემისიოში) პარტნიორის მიერ განხორციელებული შენატანის ოდენობას არ აღემატება. მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის 30-ე განყოფილების მე-9 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმომ უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები უნდა გადაიყვანოს საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით. სსკ-ის 73-ე მუხლის მე-4 და მე-10 ნაწილების თანახმად, თუ რაიმე თანხა გამოიყენება კონკრეტული პირის ინტერესებისთვის, ჩაითვლება რომ ეს თანხა მიღებული აქვს ამ პირს. - უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაცია, რომელიც დაბეგვრას ექვემდებარება, საქართველოს ეროვნულ ვალუტაზე გადაიანგარიშება ოპერაციის განხორციელების დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შესაბამისი უცხო ქვეყნის ვალუტის მიმართ განსაზღვრული ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის არსებობის შემთხვევაში – ამ კურსით.
- ზემოაღნიშნული საკანონდებლო ნორმების გათვალისწინებით, კაპიტალში შეტანილ და გატანილ თანხებს შორის წარმოშობილი სხვაობა 2 000 ლარი (31 000- 29 000) ჩაითვლება საწარმოს მიერ დივიდენდის სახით მოგების განაწილებად, შესაბამისად თანხის გატანის საანგარიშო პერიოდში საწარმო ვალდებული იყო აღნიშნული სხვაობის თანხა დაებეგრა მოგების გადასახადის 15%-იანი

განაკვეთით. ასევე, პირი ვალდებული იყო, გაცემული დივიდენდი დაებეგრა გადახდის წყაროსთან 5%-იანი განაკვეთით.

ღონისძიებები

დეკლარაციაში გადასახადის თანხის შემცირების შემთხვევაში პირი დაჯარიმდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 275-ე მუხლის შესაბამისად.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის შეღავათი N 1430

ფაქტობრივი გარემოებები

ფიზიკურ პირს მიმდინარე საანგარიშო წლის მიხედვით საკუთრებაში აქვს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, რომლებიც მის საკუთრებაში იყო 2004 წლის 1 მარტის მდგომარეობით.

ვარიანტი I: საკუთრებაში აქვს სამი მიწის ნაკვეთი, რომელთა ფართობი შეადგენს 3 ჰექტარს, 4 ჰექტარს და 7 ჰექტარს.

ვარიანტი II: საკუთრებაში აქვს 9 ჰექტარი მიწის ნაკვეთი.

I ვარიანტში: ქონების გადასახადის წლიურ დეკლარაციაში პირმა ასახა მის სახელზე რეგისტრირებული სამივე მიწის ნაკვეთი, რომელზეც ისარგებლა საგადასახადო შეღავათით და შეღავათი გააგრძელა ჯამურად 5 ჰა-მდე ფართობზე. შესაბამისად, გადასახადი განისაზღვრა აღნიშნულის გამოკლების შემდგომ დარჩენილ მიწის ნაკვეთზე.

II ვარიანტში: ქონების გადასახადის წლიურ დეკლარაციაში პირმა ასახა მის სახელზე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი 9 ჰა, რომელზეც ისარგებლა საგადასახადო შეღავათით. შესაბამისად, გადასახადი განისაზღვრა დარჩენილ ფართობზე.

შეფასება

საგადასახადო კოდექსის:

203-ე მუხლის თანახმად, მიწაზე ქონების გადასახადის გადამხდელია პირი საგადასახადო წლის 1 აპრილის მდგომარეობით მის საკუთრებაში არსებულ მიწაზე.

206-ე მუხლის პირველი ნაწილის „ტ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქონების გადასახადისაგან გათავისუფლებულია 2004 წლის 1 მარტის მდგომარეობით ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული 5 ჰექტარამდე ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები.

თითოეულ ვარიანტში, პირი უფლებამოსილი იყო ესარგებლა კანონით დადგენილი საგადასახადო შეღავათით 2004 წლის 1 მარტის მდგომარეობით მის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებიდან ჯამურად 5 ჰექტარამდე ფართობზე.

ღონისძიებები

პირის ქმედებაში საგადასახადო სამართალდარღვევა არ იკვეთება.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრის მიერ მიღებული ანაზღაურება N 2433

ფაქტობრივი გარემოებები

საწარმოსა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს შორის 2022 წლის 1 მარტს გაფორმდა სასამსახურო ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს შესაბამის ანაზღაურებას.

საწარმო სამეთვალყურეო საბჭოს წევრებზე მათთვის დაკისრებული ფუნქციების შესრულებისთვის გაცემულ ანაზღაურებას განიხილავს ხელფასად და ბეგრავს გადახდის წყაროსთან.

შეფასება

მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის შესაბამისად, ხელმძღვანელი პირის/სამეთვალყურეო საბჭოს წევრის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას/სააქციო საზოგადოებას/კოოპერატივს და ხელმძღვანელ პირს/სამეთვალყურეო საბჭოს წევრს შორის იდება სასამსახურო ხელშეკრულება. მასზე არ ვრცელდება შრომის სამართლის დებულებები.

სასამსახურო ხელშეკრულებაში უნდა მითითოს ხელმძღვანელი პირის საქმიანობის ანაზღაურების ოდენობა, ფორმა და პერიოდულობა, სამსახურებრივი პრივილეგიები, რომლებსაც ხელმძღვანელი პირი მიიღებს ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში.

სსკ-ის მე-12 მუხლის პირველი ნაწილის "ა" და "გ" ქვეპუნქტების თანახმად, დაქირავებით მუშაობად ითვლება ფიზიკური პირის მიერ:

- ვალდებულების შესრულება იმ ურთიერთობათა ფარგლებში, რომლებიც რეგულირდება საქართველოს ან/და უცხო ქვეყნის შრომის კანონმდებლობით;
- საწარმოს ან ორგანიზაციის ხელმძღვანელად (დირექტორად) ყოფნა ან ხელმძღვანელის (დირექტორის) მოვალეობის შესრულება.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დაქირავებით მომუშავე ფიზიკური პირი ამ კოდექსის მიზნებისათვის იწოდება დაქირავებულად, პირი, რომელიც ანაზღაურებს ასეთი ფიზიკური პირის მიერ შესრულებულ სამუშაოს, – დამქირავებლად, ხოლო ასეთი ანაზღაურება – ხელფასად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან კანონმდებლობით გაითვალისწინება სამეთვალყურეო საბჭოს წევრის თანამდებობაზე დანიშვნა/არჩევა, მათ, შორის შესაძლებელია გარკვეული ვადით, რისთვისაც გაცივმა შესაბამისი ანაზღაურება, საგადასახადო მიზნებისთვის სამეთვალყურეო საბჭოს წევრობა ჩაითვლება დაქირავებით მუშაობად, ხოლო მისთვის დაკისრებული ფუნქციების შესრულებისთვის მიღებული ანაზღაურება - ხელფასად და დაექვემდებარება საშემოსავლო გადასახადით დაბეგრას საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ღონისძიებები:

პირის ქმედებაში საგადასახადო სამართალდარღვევა არ იკვეთება და დამატებითი საგადასახადო ვალდებულება არ დაეკისრება.

საწარმოს მიერ წარმომადგენლობითი ხარჯის ფარგლებში გაწეული ხარჯები N2434

ფაქტობრივი გარემოებები

რეზიდენტმა საწარმომ გასწია წარმომადგენლობითი ხარჯი. კერძოდ, ანაზღაურა სტუმრის მომსახურების უზრუნველყოფის ხარჯები (როგორცაა მაგ. აეროპორტში დახვედრისა და გაცილების ხარჯები, სასტუმრო მომსახურების ხარჯები, სატრანსპორტო მომსახურების ხარჯები), ასევე, გასწია სუვენირების შეძენის ხარჯები, რომლებიც გადაეცა სტუმრებს.

რეზიდენტ საწარმოს წარმომადგენლობითი ხარჯების ფარგლებში სტუმრისათვის მომსახურების უზრუნველყოფის ხარჯების ასანაზღაურებლად გადახდილ თანხებთან, ასევე სტუმრისათვის გადაცემულ სუვენირებთან დაკავშირებით გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავება და საგადასახადო ანგარიშგება არ განუხორციელებია.

შეფასება

სსკ-ის მე-8 მუხლის 33-ე ნაწილის თანახმად, წარმომადგენლობითი ხარჯი არის პირის მიერ ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში გაწეული ხარჯი, რომელიც მოიცავს:

- პირის სახელით გამართული ღონისძიებების (პრეზენტაციები, მიღებები) გათვალისწინებულ (წვენები, მინერალური წყლები, ჩაი, ყავა, საუზმე, სადილი, ვახშამი, ბანკეტი) ხარჯებს;
- საექსკურსიო და კულტურულ-სანახაობითი ღონისძიებების ხარჯებს;
- სუვენირების შეძენის ხარჯებს;
- სტუმრების მომსახურების უზრუნველყოფის ხარჯებს;

სსკ-ის მე-9 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ეკონომიკურ საქმიანობად განიხილება ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება შემოსავლის ან კომპენსაციის მისაღებად, მიუხედავად ამ საქმიანობის შედეგისა, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

სსკ-ის 98³ მუხლის პირველი და მესამე ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის თანახმად:

- ამ მუხლის მიზნებისათვის საქონლის მიწოდება ან მომსახურების გაწევა, რომლის მიზანი არ არის მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მიღება, უსასყიდლოდ მიწოდებად ითვლება;
- მოგების გადასახადით არ იბეგრება უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება, მომსახურების გაწევა ან ფულადი სახსრების გადაცემა, რომელიც ამ კოდექსის 154-ე მუხლის შესაბამისად დაბეგრულია გადახდის წყაროსთან;

სსკ-ის 154-ე მუხლის პირველი ნაწილის "მ" ქვეპუნქტის შესაბამისად, გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავება ევალება პირს, რომელიც ქონებას უსასყიდლოდ გადასცემს ფიზიკურ პირს, რომელიც ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრირებული არ არის, გარდა ამ პირის მიერ ამავე ფიზიკური პირისთვის საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარამდე ღირებულების ქონების უსასყიდლოდ გადაცემისა.

იმის გათვალისწინებით, რომ წარმომადგენლობითი ხარჯი არის ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში გაწეული ხარჯი, ამავე ხარჯის ფარგლებში სტუმრისათვის მომსახურების უზრუნველყოფის ხარჯების ანაზღაურება, ასევე სუვენირის შეძენა არ ატარებს უსასყიდლო ხასიათს.

შესაბამისად, საწარმოს მიერ სტუმრისათვის მომსახურების უზრუნველყოფის ხარჯების ასანაზღაურებლად თანხების გადახდა, ასევე სტუმრისათვის სუვენირების გადაცემა არ წარმოშობს საშემოსავლო გადასახადის გადახდის წყაროსთან დაკავების ვალდებულებას.

ღონისძიებები

პირის ქმედებაში საგადასახადო სამართალდარღვევა არ იკვეთება და დამატებითი საგადასახადო ვალდებულება არ დაეკისრება.

ვირტუალური ზონის პირის მოგების გადასახადით დაბეგვრის თაობაზე შემოსავლების სამსახურის მეთოდური მითითება

2022 წლის 29 დეკემბერს შემოსავლების სამსახურის N 33544 ბრძანებით ძალაში შევიდა ახალი მეთოდური მითითება, ხოლო ძალადაკარგულად გამოცხადდა „ვირტუალური ზონის პირის მოგების გადასახადით დაბეგვრის თაობაზე მეთოდური მითითების დამტკიცების შესახებ“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2022 წლის 25 მარტის N 7547 ბრძანება.

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

- ა) ვირტუალური ზონა – ვირტუალური ზონის პირი ან ამ პირთა ერთობლიობა;
- ბ) ვირტუალური ზონის პირი – იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიურ საქმიანობას და მინიჭებული აქვს შესაბამისი სტატუსი;
- გ) საინფორმაციო ტექნოლოგიები – კომპიუტერული საინფორმაციო სისტემების შესწავლა, მხარდაჭერა, განვითარება, დიზაინი, წარმოება და დანერგვა, რის შედეგადაც მიიღება პროგრამული უზრუნველყოფის პროდუქტები.

ახალ მეთოდურ მითითებაში ასახულია განხორციელებული ცვლილებები, რომლის მნიშვნელოვანი ელემენტებია:

- მეთოდური მითითების წინა რედაქციისგან განსხვავებით, ახალ რედაქციაში მოყვანილია მაგალითი ისეთ შემთხვევაზე, როდესაც რეზიდენტი დამფუძნებელი არ იყენებს დაქირავებულ შრომას, ხოლო ამის მიუხედავად, დივიდენდის განაწილებისას სარგებლობს კოდექსის 99-ე მუხლის პირველი ნაწილის „ჟ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საგადასახადო შეღავათით, რაც მას ათავისუფლებს მოგების გადასახადისაგან. აღსანიშნავია, რომ ძველ რედაქციაში, ასეთ შემთხვევაზე შემოსავლების სამსახური, ვირტუალური ზონის საწარმოს წმინდა მოგების 40%-ს აკვალიფიცირებდა დამფუძნებელზე გადახდილ ხელფასად და ბეგრავდა საშემოსავლო გადასახადით, ხოლო დანარჩენ 60%-ს უთავისუფლებდა მოგების გადასახადისაგან 99-ე მუხლის „ჟ“ ქვეპუნქტის მიხედვით.
- მეთოდური მითითების მიხედვით, მიწოდებული პროგრამული უზრუნველყოფის პროდუქტის შემდგომი მხარდაჭერა და განახლებების მიწოდება, რიგ შემთხვევებში პირველადი მიწოდების აუცილებელი კომპონენტია. რამდენადაც პროგრამული უზრუნველყოფის პროდუქტის შემდგომი მხარდაჭერა და მომსახურება წარმოადგენს ამ პროდუქტით სარგებლობის უმნიშვნელოვანეს კომპონენტს, ჩაითვლება, რომ სტატუსის მიღების შემდგომ ასეთი პროდუქტით სარგებლობის ლიცენზიის სანაცვლოდ იურიდიული პირის მიერ მიღებული შემოსავლები სტატუსის მიღების შემდგომ მიწოდებული საინფორმაციო ტექნოლოგიების სანაცვლოდაა მიღებული. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, ვირტუალური

ზონის პირის სტატუსის მიღებამდე შექმნილ პროგრამული უზრუნველყოფის პროდუქტთან დაკავშირებით იურიდიული პირის მიერ სტატუსის მიღების შემდგომ საქართველოს ფარგლების გარეთ მიწოდებული საინფორმაციო ტექნოლოგიების სანაცვლოდ მიღებულ მოგებაზე გავრცელდება კოდექსის 99-ე მუხლის პირველი ნაწილის „ქ“ ქვეპუნქტით დადგენილი საგადასახადო შეღავათი.

მეთოდური მითითების სრული ვერსია იხილეთ ბმულზე - [ვირტუალური ზონის პირის მოგების გადასახადით დაბეგვრის თაობაზე მეთოდური მითითება](#)

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ბრძანება № 84

17.03.2023

საჯარო გადაწყვეტილება ტურისტული მომსახურების დღგ-ით დაბეგვრის თაობაზე

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გადასახადის გადამხდელთა დაბეგვრის არსებული პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე, მიღებულ იქნა შემდეგი შინაარსის საჯარო გადაწყვეტილება „ტურისტული მომსახურების დღგ-ით დაბეგვრის თაობაზე“.

საჯარო გადაწყვეტილება განმარტავს:

ა) ტურისტული მომსახურების დღგ-ით დაბეგვრის საკითხს ტურისტის საქართველოში ორგანიზებულად შემოყვანისას;

ბ) ტურისტული მომსახურების დღგ-ით დაბეგვრის საკითხს ტურისტის საქართველოდან გაყვანისას;

გ) საქართველოში ტურისტის ორგანიზებულად შემოყვანის და მისთვის ტურისტული პროდუქტის მიწოდების მიზნით შექმნილ საქონელზე/მომსახურებაზე დღგ-ის ჩათვლის საკითხს.

აღსანიშნავია, რომ ტურისტული პროდუქტი უნდა შედგებოდეს ტურისტული მომსახურების არანაკლებ 2 კომპონენტისაგან. ასევე, ძირითადი მომსახურების დახმარე კომპონენტები ამ ძირითადი საქმიანობის ნაწილად განიხილება და ვრცელდება დაბეგვრის იგივე რეჟიმი, რაც ძირითად ნაწილზე გავრცელდებოდა. სსკ-ის 159-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მომსახურების გაწევა, რომელიც სხვა სახის მომსახურების გაწევასთან უშუალოდაა დაკავშირებული ან სხვა მომსახურების გაწევისთვის დამხმარე ხასიათისაა, განიხილება ამ მომსახურების გაწევის ნაწილად. ამდენად, ტურისტული მომსახურების გარდა, დღგ-ის მიზნისთვის, ტურისტული პროდუქტის ნაწილად ასევე განიხილება ამ მომსახურების დამხმარე მომსახურება.

აღნიშნული საჯარო გადაწყვეტილების მიხედვით, არსებული საკანონმდებლო ნორმებიდან გამომდინარე:

ა) ტუროპერატორის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე უცხოელი ტურისტის ორგანიზებულად შემოყვანისას ტურისტისთვის საქართველოს ტერიტორიაზე ტურისტული პროდუქტის (ტურისტული მომსახურების არანაკლებ 2 კომპონენტის, მათ შორის, სასტუმროში განთავსება, კვება, საქართველოში ტრანსფერი და სხვა) მიწოდება და მასთან დაკავშირებული დამხმარე მომსახურების გაწევა (სამოგზაურო დაზღვევა და სხვა), გათავისუფლებულია დღგ-ისგან ჩათვლის

უფლებით;

ბ) საქართველოს ფარგლებს გარეთ გაყვანისას ტურისტული მომსახურების (სასტუმროში განთავსება, კვება, საქართველოში ტრანსფერი და სხვა) და მასთან დაკავშირებული დამხმარე მომსახურების (სავიზო მხარდაჭერა, სამოგზაურო დაზღვევით უზრუნველყოფა და სხვა) გაწევა, დღგ-ის მიზნისთვის განიხილება საქართველოს ფარგლების გარეთ გაწეულ მომსახურებად;

გ) საქართველოს ტერიტორიაზე უცხოელი ტურისტის ორგანიზებული შემოყვანისა და მისთვის საქართველოს ტერიტორიაზე ტურისტული პროდუქტის მიწოდების მიზნით შექმნილ საქონელზე/მომსახურებაზე გადახდილ დღგ-ზე, ტუროპერატორი უფლებამოსილია, მიიღოს დღგ-ის ჩათვლა, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრული შეზღუდვების გათვალისწინებით.

საჯარო გადაწყვეტილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე - **ტურისტული მომსახურების დღგ-ით დაბეგვრის თაობაზე**



პუბლიკაციაში წარმოდგენილი საკითხები არის მხოლოდ ინფორმაციული ხასიათის და გამიზნულია ზოგადი მიმოხილვისათვის. არ არის რეკომენდებული აღნიშნულ პუბლიკაციაზე დაყრდნობით გადაწყვეტილების მიღება ჩვენს წარმომადგენელთან კონსულტაციის გარეშე!

ჩვენი საგადასახადო სპეციალისტები მუდამ მზად არიან განვიმარტონ და მოგაწოდონ დამატებითი ინფორმაცია ზემოთ მოცემულ ცვლილებებზე!

გელა მღებრიშვილი

მმართველი პარტნიორი

TEL: +995 595 333 853

E-Mail: gela.mghebrishvili@nexia.ge

დავით მამრიკიშვილი

მმართველი პარტნიორი / საგადასახადო მიმართულების დირექტორი

TEL: +995 591 505 009

E-Mail: david.mamrikishvili@nexia.ge